დამტკიცებულია ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა,
შალვა და ელიზბარის სახელობის ზ/ს სკოლის
დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის №2-12 ბრძანების
დანართი №1-ით

ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

თელავი
2026 წელი

დამტკიცებულია ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა,
შალვა და ელიზბარის სახელობის ზ/ს სკოლის
დირექტორის 2026 წლის 17 ივლისის №2-12 ბრძანების
დანართი №1-ით

1. ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო პერიოდში სკოლა ყოველდღიურად უნდა დალაგდეს სველი წესით სარეცხი საშუალებების გამოყენებით (აქაც და შემდეგშიც იგულისხმება ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო საშუალებები https://www.ncdc.ge/#/pages/file/f70ca25e-e850-4deb-9d7d-8b058b934d2d)
2. სკოლაში სწავლა მიმდინარეობს 18 საათამდე, ამდენად, საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები უნდა დალაგდეს 2-ჯერ, 12 საათზე და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ: გაღებული ფანჯრების და ფრამუგების მდგომარეობაში, მოირეცხოს იატაკი, გაიწმინდოს მტვრიანი ადგილები (ფანჯრის რაფები, რადიატორები, ჩამრთველები, დამაგრძელებელი, ორგტექნიკა, კომპიუტერები და სხვა).
3. თვეში ერთხელ უნდა ჩატარდეს შენობის გენერალური დასუფთავება არა მარტო სარეცხი საშუალებებით, არამედ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით.
4. შენობის ფანჯრები უნდა გაიწმინდოს წელიწადში ორჯერ (გაზაფხულზე და შემოდგომაზე). ტუალეტები, სატრაპეზო და სამედიცინო კაბინეტი უნდა დასუფთავდეს სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით.
5. სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობა უნდა დასუფთავდეს ყოველდღიურად, ეპიდსიტუაციის მიუხედავად. უნიტაზის დასაჯდომი ჩასარეცხი ავზის სახელურები და კარების სახელურები უნდა გაირიცხოს სარეცხი - სადეზინფექციო საშუალებებით. ნიჟარები, უნიტაზები უნდა გაირეცხოს ჯაგრისით სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით ან ორჯერ უნდა გაირეცხოს სადეზინფექციო ხსნარებში დასველებული ჩვრით.
6. სატრაპეზო უნდა დასუფთავდეს ბავშვების ყველა გასვლის შემდეგ.
7. სამედიცინო კაბინეტში ავეჯის დასუფთავების გარდა აუცილებელია დეზინფექცია ჩაუტარდეს მრავალჯერადი ხმარების სამედიცინო ინსტრუმენტებს. ნახმარი ინსტრუმენტები უნდა გაირეცხოს სადეზინფექციო ხსნარში.
8. იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა სტერილობა, აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი სამედიცინო ხელსაწყოები.
9. კარანტინის დროს ყოველდღიურ დეზინფექციას ექვემდებარება ყველა ოთახი, სადაც იმყოფებოდნენ იმ კლასის მოსწავლეები, რომლებიც კარანტინს ექვემდებარებიან.
10. დეზინფექციის დროს ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნივთების დამუშავებას, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ინფექციის გადაცემაში. ჰაერ-წვეთოვანი ინფექციის დროს ხშირად უნდა განიავდეს კლასები (ყველა დასვენებაზე), ოთახები გაიწმინდოს მტვრისაგან, დეზინფექცია ჩაუტარდეს ჭურჭელს.

11. ნაწლავური ინფექციების დროს – გაუვნებლდეს ჭურჭელი, მაგიდების ზედაპირი, სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობა, ხელების დაბანა მოხდეს საპნით ტუალეტში ყოფნის შემდეგ და ჭამის დაწყებამდე.

12. პედიკულოზის გამოვლენის მიზნით, სკოლის სამედიცინო პერსონალმა არანაკლებ 2-ჯერ წელიწადში გეგმიურად არდადეგების შემდეგ და საჭიროების მიხედვით არაგეგმიურად ჩაატარონ ბავშვების დათვალიერება. დათვალიერება (თავის თმიანი ნაწილების) უნდა მოხდეს კარგად განათებულ ოთახში ლუპის გამოყენებით.

13. სკოლის ტერიტორია უნდა გასუფთავდეს ყოველდღიურად: შეგროვდეს მყარი ნარჩენები საკლასო ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ, სხვა სათავსებში და უსაფრთხოდ მოხდეს გატანა სკოლის შენობიდან.

14. ნაგავი გროვდება და იყრება ეზოს გარეთ კონტეინერებში.

15. ნაგვის ყუთების გაცლა უნდა მოხდეს მათი 2/3-ზე გავსებისას.

16. ნაგვის ყუთების დასუფთავება-დეზინფექცია ხდება თვეში ერთხელ.

17. ბუზების გამრავლების თავიდან ასაცილებლად სატრეპეზოს ფანჯრებზე დამაგრებულია დამცავი ბადეები. სკოლაში პერიოდულად ტარდება საწყობების, სარდაფების, ეზოს დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია)

18. სკოლის ტერიტორიაზე არ დაიშვება უმეთვალყურეო ცხოველების არსებობა.

19. სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნახმარი წყლებისა მოცილება/არინება და სეპტიკური ავზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ.

20. სკოლაში ყოველდღიურად უნდა ხორციელდებოდეს:

- კარის ბლოკების, კიბის უჯრედებისა და ბაქნების დასუფთავება. კარის სახელურების, ჩამრთველების, კიბის მოაჯირების და ყველა სხვა იმ ზედაპირის წმენდა, რასაც ხშირად ეხებიან ხელით;
- ნარჩენების მოცილება სანაგვე ურნებიდან და კალათებიდან, პოლიეთილენის პაკეტების შეცვლა სანაგვეებში.
- მყარი, ნახევრადმყარი და რბილი იატაკების დასუფთავება (ვაკუუმდამუშავება, გამოგვა, რეცხვა).
- კერამიკული ფილებით მოპირკეთებული კედლების (არაუმეტეს 1მ სიმაღლეზე), უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება (ჟანგის, შარდის და წყლის მინერალური ქვის ნადების მოცილების ჩათვლით), დეზოდორაცია.
- შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე: კარის ბლოკისა და კიბეების წმენდა, დაგვა-დასუფთავება, ნაგვის გატანა და ურნებში პოლიეთილენის პაკეტების ჩაფენა, მისასვლელი ბილიკების სველი წესით დამუშავება.
- დასალაგებელი ინვენტარის რეცხვა და მომზადება შემდგომი სამუშაო დღისათვის.

27.სკოლაში ყოველკვირეულად უნდა განხორციელდეს:

- ყველა ზედაპირის დასუფთავება არაუმეტეს 3მ სიმაღლეზე;

- ავეჯისა და ფერადი ლითონისაგან დამზადებული ინტერიერის ელემენტების გაპრიალება;
- მტვრის მოცილება ჩარჩოებიდან (შუშის გარდა), ლაქების მოცილება ტიხარებიდან, ვაკუუმით დამუშავება ქსოვილის ზედაპირების და რბილი ავეჯის;
- მტვრის მოცილება დეკორატიული ეკრანებიდან, დეკორატიული გაფორმების სხვა ელემენტებიდან;
- სანაგვე ურნებისა და კალათების რეცხვა და დეზინფიცირება;
- სათავსების დეზინფექცია არაუმეტეს 3მ სიმაღლეზე, ჩამრეცხი ღრუების დეზინფექცია და დეზოდორაცია;
- კერამიკული ფილებითა და ხით მოპირკეთებული კედლების პოლირება;
- შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე:
- შუშის ზედაპირების, აბრების და ფირნიშების, მისასვლელი ბილიკების და გარეთ დამონტაჟებული მოსაცდელი სკამების წმენდა.
- კედლის და ჭერის გამანათებელი საშუალებების შუშების წმენდა შიგნიდან და გარედან, არაუმეტეს 3მ სიმაღლეზე;
- კედლებსა და ჭერზე განთავსებული შემწოვ-გამწოვი სავენტილაციო სისტემის ცხაურებიდან მტვრის მოცილება;
- კომპიუტერების, ორგტექნიკის, საყოფაცხოვრებო ელექტროაპარატურის, ჟალუზების, რბილი ავეჯის, ხალიჩებისა და რბილი საფარის წმენდა;
- ფანჯრების წმენდა შიგნიდან და გარედან;
- იატაკებზე მოვლის საშუალებების დატანა (საპრიალებელი, კონსერვაციის, დამცავი, მაკრისტალებელი კომპოზიციების გამოყენებით);
- შენობის გარეთა ფასადსა და მიმდებარე ტერიტორიაზე:
- ფანჯრებისა და მინის კედლების სრული წმენდა შიგნიდან და გარედან, მიუხედავად სიმაღლისა;
- ფასადის, დეკორატიული ელემენტების, საჩრდილობელი ჟალუზებისა და მარკიზების, აბრების, ფირნიშების და ლატუნის დაფების წმენდა;
- ჩამრეცხი და საკანალიზაციო კოლექტორის ცხაურის, სახურავიდან ჩამდინარე წვიმის წყლის ღარების წმენდა.

28. სკოლის დასუფთავებისთვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ასევე ინვენტარი ინახება სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ ჩაკეტილ სათავსოში, პირვანდელი შეფუთვით და სათანადოდ მარკირებული, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

29. სატრეპეზოს და სველი წერტილების სისუფთავეს ყოველდღიურად ამოწმებს სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე.